საქმე № 1ბ/109

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ

25 იანვარი, 2017 წელი *ქ.თბილისი*

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გელა ბადრიაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე ქ.თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორის - ნანა ჯაყელის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2017 წლის 18 იანვრის განჩინებაზე, საგამოძიებო მოქმედების - დათვალიერების ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით,-

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:
ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა საგამოძიებო სამსახური იძიებს სისხლის სამართლის №008140117012 საქმეს, ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც ლ. ლ.-ს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით.

აღნიშნული საქმის გამოძიების ფარგლებში, 2017 წლის 18 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ქ.თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორმა ნანა ჯაყელმა და ითხოვა ნებართვის გაცემა, მოწმე მ. კ.-ს მიერ წარდგენილი და სისხლის სამართლის საქმეზე დართული DVD დისკის და მასზე არსებული ვიდეოჩანაწერის დათვალიერების მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2017 წლის 18 იანვრის განჩინებით, პროკურორის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

შუამდგომლობის განხილვისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი ინფორმაციის მოპოვება და სისხლის სამართლის საქმეზე დამაგრება, რომელიც მიიღება კომპიუტერულ სისტემაში მონაცემთა დამუშავების

შედეგად და რომელიც არის კომპიუტერული მონაცემი, უნდა მოხდეს ინფორმაციის გამოთხოვის გზით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში, გამოძიება არ მიმდინარეობს სსსკ-ის მე-16 თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულისთვის, რაც ნიშნავს იმას, რომ იმთავითვე დაუშვებელია ჩანაწერის გამოთხოვა, რადგან იმ კატეგორიის დანაშაულებზე, რომელზედაც მოცემულ შემთხვევაში მიმდინარეობს გამოძიება, ამის შესაძლებლობას კანონი არ უშვებს. სასამართლოს განჩინების გარეშე არ უნდა მოხდეს ვიდეოჩანაწერის, რომელიც არის კომპიუტერული მონაცემი და დაცულია კომპიუტერულ სისტემაში, გამოთხოვა. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ვიდეოჩანაწერის მოპოვებისას, არსებითად დაირღვა საპროცესო კანონის მოთხოვნები, ხოლო მოსამართლის ნებართვის მიღება ისეთი მტკიცებულების დასათვალიერებლად, რომელიც კანონის არსებითი დარღვევით არის მოპოვებული, მოკლებულია საფუძველს, რის გამოც ბრალდების მხარეს უარი უთხრა მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების - დათვალიერების ჩატარებაზე (იხ. განჩინება).

განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ქ.თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორმა ნანა ჯაყელმა. პროკურორი ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2017 წლის 18 იანვრის განჩინების გაუქმებას და DVD დისკზე არსებული ჩანაწერის დათვალიერების ჩასატარებლად ნებართვის გაცემას.

საჩივარში აღნიშნულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უსაფუძვლო და უკანონოა; დისკის დათვალიერება აუცილებელია, რათა გაირკვეს, რამდენად მნიშვნელოვანია მასზე ასახული ინფორმაცია საქმისთვის; გამოძიება არ მიმდინარეობს იმ კატეგორიის დანაშაულისთვის, რომელთან მიმართებაშიც საქართველოს სსსკ-ის შესაბამისი თავი არეგულირებს კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას და ფარული საგამოძიებო მოქმედებების წესით ინფორმაციის გამოთხოვას; სასამართლომ სავსებით განსხვავებული და არასწორი ინტერპრეტაცია მისცა საქმის მასალებს და გამოძიების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს; მოსამართლის არასწორი და საქმის მასალებთან შეუსაბამო განმარტებები არავითარ მტკიცებულებებს არ ეყრდნობა, გარდა თავად მისი დაუსაბუთებელი ვარაუდებისა და ეჭვებისა; სასამართლო ყოველგვარ საზღვრებს გასცდა და გამოძიება დაადანაშაულა კანონდარღვევაში; აბსურდულია სასამართლოს მსჯელობა, რომ ვიდეოჩანაწერი, რომელიც მოსამართლის დაჟინებული განმარტებით რეალურად თითქოსდა „ამოღებულია“, არსებითი დარღვევის გამო უკვე აღარ აქვს იურიდიული ძალა; დაუშვებელია ასე დაუსაბუთებლად ბრალის დადება და შეურაცხყოფის მიყენება გამოძიებისა და ბრალდების მხარისთვის, რომ რაღაც „შემოვლითი“ გზებით იქნა მოპოვებული თითქოსდა წინასწარ ცნობილი ვიდეოჩანაწერი, მაშინ, როდესაც საქმის მასალებში განთავსებულია მოწმე მ. კ.-ს ჩვენება, სადაც მოწმე ცხადად განმარტავს და აღწერს, რომ უკვე იმ დროს, როდესაც იკითხებოდა, მის ხელთ იყო დი-ვი-დი დისკი, რომელზეც თვითონვე გადაწერა შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი და უკვე ჩაწერილი ნებაყოფლობით წარმოუდგინა გამოძიებას; ცხადია, რომ მოსამართლეს ამოძრავებს ერთადერთი სურვილი, რაც შეიძლება მეტი პრობლემა და დაბრკოლება

შეუქმნას გამომძიებელს და პროკურორს მტკიცებულებათა მოპოვებაში; ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ზემოხსენებულ შუამდგომლობასთან ერთად, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი იქნა პროკურორის მეორე შუამდგომლობაც საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის მიღების თაობაზე, რომელიც ეხებოდა სწორედ საქმეზე დართულ დი-ვი-დი დისკზე არსებული ვიდეოჩანაწერის დათვალიერებას, რაც სხვა მოსამართლემ განიხილა და დააკმაყოფილა; ასეთი არაერთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ და გაუგებარია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა, მოსამართლეს რატომ ესმის სხვაგვარად კანონი, მაშინ, როდესაც კოლეგიის სხვა მოსამართლეები გასცემენ ნებართვას ამ სახის საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე; ნამდვილად პროტესტის ღირსია ის უპატივცემულო და რაც მთავარია უსაფუძვლო ეჭვები, რაც გამოთქმული და ჩამოყალიბებული აქვს სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაში და მოვუწოდებთ, რომ თავი შეიკავოს ასეთი შეურაცხმყოფელი მოსაზრებებისაგან (იხ. საჩივარი, სტილი დაცულია).

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს საჩივარი, რომელიც არ შეეხება აღკვეთის ღონისძიების შესახებ განჩინებას. შესაბამისად, აღნიშნული ნორმა იძლევა შესაძლებლობას საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებული საჩივარი განხილულ იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე.

სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები იძლევა პროკურორის საჩივარში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა.

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჩივარი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიაჩნია, რომ ***საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს,*** *შემდეგ გარემოებათა გამო:*

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ინფორმაცია, რომლის დათვალიერების ნებართვასაც ითხოვს პროკურორი, არ არის მოპოვებული საპროცესო ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად. გამოძიებამ ეს ინფორმაცია მოიპოვა მოწმის მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენის გზით და საქმეზე დაამაგრა დათვალიერების ოქმით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის შესაბამისად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდება ამ კოდექსის 143[2]-143[10] მუხლების დებულებები.

როგორც ვხედავთ, კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი ინფორმაციის ან დოკუმენტის მოპოვება, რომელიც შენახულია კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში, მოხდეს მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისთვის დადგენილი დებულებების მიხედვით. უდავოა, რომ DVD დისკზე არსებული ჩანაწერი წარმოადგენს კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცულ ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც კანონიერია მაშინ თუ დაცულია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის დადგენილი რეგულაციები. სსსკ-ის 143³-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს დანაშაულთა იმ კატეგორიას და ცალკეულ მუხლებს, რომლებზეც დასაშვებია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება. ამ დანაშაულთა კატეგორიებსა და სპეციალურ მუხლებს შორის არ არის ის დანაშაული და ის მუხლი, რომლითაც განსახილველ შემთხვევაში მიმდინარეობს გამოძიება (სსკ-ის 276-ე მუხ. პირველი ნაწილი, გაუფრთხილებლობით ჩადენილი ნაკლებად მძიმე დანაშაული). შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცეს განჩინება ასეთი იურიდიული კვალიფიკაციით მიმდინარე გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დროს ინფორმაციის გამოსათხოვად. კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის ან დოკუმენტის მოპოვების სხვა კანონიერ გზას, ხერხს, საშუალებას მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს მას შემდეგ, რაც 2014 წლის 18 აგვისტოდან ამოქმედდა 136-ე მუხლში შეტანილი ცვლილება.

საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა მტკიცებულება მოპოვებული უნდა იყოს კანონიერად. მტკიცებულება კანონიერად არის მოპოვებული თუ ის გამოძიების ხელთ აღმოჩნდება რომელიმე საგამოძიებო მოქმედების საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით ჩატარების შედეგად. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს დაცული უნდა იყოს როგორც მისი მიმდინარეობის, ისე პროცესუალური გაფორმების და მტკიცებულების საქმეზე დამაგრების, საქმისთვის ე.წ. მითვისების პროცესუალური ნორმები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს საგამოძიებო მოქმედებას სახელწოდებით „ნებაყოფლობით წარმოდგენა“. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნებისმიერი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის მოპოვება საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების საფუძველზე ნებადართულია მხოლოდ იმ საგამოძიებო თუ ფარული საგამოძიებო მოქმედებების გზით, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშია მითითებული. 1961 წლის რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, ნებაყოფლობით წარმოდგენა, როგორც საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედება, არ არსებობს. თუ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის გამოძიებისთვის გადაცემა ხდება ნებაყოფლობით, გამომძიებელმა ეს უნდა პროცესუალურად გააფორმოს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ოქმით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საგამოძიებო მოქმედების სპეციფიკა მოითხოვს, ეს საგამოძიებო მოქმედება უნდა დაექვემდებაროს სასამართლოს კონტროლს (მაგ: ჩხრეკის ან ამოღების დროს მტკიცებულების მოპოვება).

მოცემულ შემთხვევაში, გამომძიებელმა შეადგინა დათვალიერების ოქმი, სადაც დააფიქსირა მოწმის მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე DVD დისკის ნებაყოფლობით წარდგენა. საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე - 128-ე მუხლების შესაბამისად, დათვალიერება შესაძლებელია: შემთხვევის ადგილის, საცავის, სადგომის, სათავსის, გვამის, საგნის დოკუმენტის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება შემთხვევის ადგილის, საცავის, სადგომის, სათავსის, გვამის დათვალიერება, შესაძლებელია ამ დათვალიერებით აღმოჩენილი დანაშაულის კვალის ან ნივთიერი მტკიცებულების ამოღება, შემთხვევის ვითარების ან სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევა. საგნის, დოკუმენტის ან ინფორმაციის შემცველი სხვა სხვა ობიექტის დათვალიერება კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თუ ის უკვე გამოძიების ხელთ იმყოფება, თუ მასზე გამოძიებას ხელი მიუწვდება დასათვალიერებლად. ასეთი საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი მხოლოდ მაშინ არის გამოძიებისთვის ლეგიტიმურად ხელმისაწვდომი თუ ის სხვა რომელიმე საგამოძიებო მოქმედებით (მაგ: შემთხვევის ადგილის, საცავის, სადგომის, სათავსის, გვამის დათვალიერებით, ჩხრეკით, ამოღებით და სხვ. საგამოძიებო მოქმედებით) არის მოპოვებული. მაშასადამე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობს დათვალიერებით რაიმეს აღმოჩენას და მოპოვებას, როდესაც ის ჯერ არ არის აღმოჩენილი, ჯერ არ იმყოფება გამოძიების ხელთ და ასევე იცნობს ისეთი საგნების (ზოგადად, ობიექტების) დათვალიერებას, რომლებიც გამოძიებამ კანონიერი გზით უკვე მოიპოვა და მის ხელთ იმყოფება. განსახილველ შემთხვევაში, შეუძლებელია გამომძიებელს დაეთვალიერებინა საგანი - DVD დისკი, თუ ის უკვე არ იმყოფებოდა გამოძიების ხელთ, თუ ის უკვე არ იყო მისთვის ლეგიტიმურად ხელმისაწვდომი, რაც კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ოქმით უნდა გაფორმებულიყო. დათვალიერების შედეგად DVD დისკი (საგანი, ნივთი) მხოლოდ მაშინ შეიძლება აღმოჩნდეს ლეგიტიმურად გამოძიების ხელთ თუ ის აღმოჩენილია, მაგალითად, შემთხვევის ადგილის, საცავის, სადგომის, სათავსის დათვალიერებით. ასეთ შემთხვევაში ხდება მისი ამოღება, რაც დათვალიერების პროცესის შემადგენელი ნაწილია. პირიქით, DVD დისკის დათვალიერება თუ ის უკვე არ არის აღმოჩენილი და ამოღებული, თუ ის უკვე არ იმყოფება გამოძიების ხელთ, შეუძლებელია. უკვე ამოღებული და გამოძიების ხელთ მყოფი დისკის დათვალიერება კი მაშინ არის კანონიერი, თუ მისი ამოღება მოხდა საპროცესო ნორმათა დაცვით. მოცემულ შემთხვევაში, DVD დისკის ე.წ. „ნებაყოფლობით წარდგენა“ არ არის მისი მოპოვების კანონიერი გზა, რადგან ასეთ საგამოძიებო მოქმედებას საპროცესო კოდექსი არ იცნობს.

დასკვნის სახით, საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ გამომძიებელმა რეალურად მოახდინა მოწმის მიერ ნებაყოფლობით წარდგენილი ობიექტის - DVD დისკის ამოღება, თუმცა პროცესუალურად გააფორმა ისე, თითქოს ის მოიპოვა დათვალიერების გზით და შეადგინა დათვალიერების ოქმი. კოლეგია განმარტავს, რომ გამომძიებელს ჯერ უნდა ამოეღო შემდგომი სასამართლო კონტროლის გავლით მოწმის მიერ მისთვის წარდგენილი დისკი, ხოლო შემდეგ, აუცილებლობის შემთხვევაში, მოეხდინა მისი გარეგნული დათვალიერება ან უნდა შეედგინა ობიექტის (საგნის) ამოღებისა და დათვალიერების

ერთიანი ოქმი, რომლის ჩატარების კანონიერებაც პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე უნდა შეემოწმებინა სასამართლოს.

საგამოძიებო კოლეგია ასევე განმარტავს, რომ თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთის ამოღების შემთხვევაში, მტკიცებულებითი ძალა შეიძლება შეიძინოს არა თვით ნივთმა მასზე არსებული კვალის (მაგ:DVD დისკზე არსებული თითის ანაბეჭდი, სისხლი და ა.შ.) სახით, არამედ მასში დაცულმა ინფორმაციამ (მაგ: DVD დისკში არსებული ჩანაწერი) და ეს გამოძიებისთვის წინასწარ არის ცნობილი, ანუ გამოძიებას გააზრებული აქვს რა სახის მტკიცებულების მოპოვება სურს, უნდა გაირკვეს, ეს ინფორმაცია არის თუ არა კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში დაცული ინფორმაცია. დადებით შემთხვევაში, უნდა მოხდეს მისი გამოთხოვა სსსკ-ის 136-ე მუხლით დადგენილი წესით, რაც ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გულისხმობს სასამართლოს ნებართვის მიღებას ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის დადგენილ რეჟიმში. მოცემულ შემთხვევაში, გამომძიებლისთვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იყო DVD დისკში არსებული ჩანაწერი და არა თვით DVD დისკი, როგორც ნივთი. ამიტომ, თუ DVD დისკის, როგორც კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალების გამოთხოვა პასუხობდა სსსკ-ის 136-ე და 143[2]-143[10] მუხლების დებულებებს, უნდა მოეხდინა მისი გამოთხოვა. დადგენილია, რომ საქმეზე გამოძიება არ მიმდინარეობს იმ კვალიფიკაციით, რაც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად მოსამართლის ნებართვის მისაღებად არის აუცილებელი. შესაბამისად, არსებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე, პროცესუალური ნორმების დაცვით, DVD დისკში არსებული ჩანაწერის კანონიერად მოპოვება, მოცემულ შემთხვევაში, შეუძლებელია.

საგამოძიებო კოლეგია იზიარებს პროკურორის შეშფოთებას, რომ ზოგადად, გამოძიებას არ უნდა ეშლებოდეს ხელი მტკიცებულების მოპოვებაში საკანონმდებლო ბაზის გაუმართაობის გამო, მაგრამ მეორეს მხრივ განმარტავს, რომ სასამართლოს პირველ რიგში ევალება საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დაცვა სასამართლო კონტროლის განხორციელების ფარგლებში და შესაბამისი რეაგირება მისი უგულებელყოფის შემთხვევაში. ამიტომ, კანონის ავკარგიანობის შეფასება, თვითნებურად მოქმედება და ე.წ. გამოსავლის მოძებნა, საპროცესო ნორმათა დარღვევის ან მათი არასწორად განმარტების ხარჯზე, არ შედის სასამართლოს საქმიანობის და საჯარო ინტერესებში.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, გამომძიებელმა არსებითად დაარღვია იმ საგნის (DVD დისკის) მოპოვების პროცესუალური წესი, რომელში არსებული შესაძლო ინფორმაციის დათვალიერებისთვისაც კანონი ითხოვს სასამართლოს ნებართვას. ბუნებრივია, ვინაიდან დასახელებული ობიექტი მოპოვებულია კანონის არსებითი დარღვევით, ის არის დაუშვებელი მტკიცებულება და ამ ფონზე მასში არსებული ინფორმაციის დასათვალიერებლად სასამართლოს ნებართვის გაცემა იმაზე დიდი უკანონობა იქნება, ვიდრე მისი მოპოვებაა. სასამართლოს ნებართვის გაცემის მოთხოვნა ისეთი ინფორმაციის დათვალიერების ჩატარებაზე, რომელიც მოპოვებულია კანონის არსებითი დარღვევით, ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს - კანონიერების პრინციპს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი

დააკმაყოფილოს კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასათვალიერებლად განჩინების გაცემის თხოვნა.

განსახილველ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას არაერთი განმარტება აქვს გაკეთებული (მაგ: 28.12.2016წ. N1გ/1938 განჩინება). ამ მოცემულობის ფონზე, სააპელაციო სასამართლოსთვის უცნობია, რატომ გასცემს ცალკეულ შემთხვევებში პირველი ინსტანციის სასამართლო დათვალიერების ჩატარების ნებართვას ისეთ საგანზე, რომელიც მოპოვებულია კანონის არსებითი დარღვევით და რაზეც საუბრობს პროკურორი საჩივარში. კოლეგია განმარტავს, რომ მსგავს შემთხვევებში, საჩივრის არსებობის პირობებში, მიიღებს კანონით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას.

და ბოლოს, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ მხარეებმა (ბრალდების, დაცვის) უნდა დაიცვან პროფესიული ეთიკის და კორექტულობის ნორმები საჩივრის შედგენისას. განჩინების გასაჩივრებისას მათი ლოიალობის ხარისხი არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სასამართლოს არ დაურღვევია კანონი, ეთიკური ქცევის წესი და მაინც ხდება მისი უსაფუძვლო გაკიცხვა მხოლოდ იმის გამო, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ დაემთხვა რომელიმე მხარის სურვილს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ საჩივარი უსაფუძვლოა, დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3, მე-20, 72-ე, 97-98-ე, 125-ე - 128-ე, 136-ე, 143^{2}-143^{10}, 207-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

პროკურორის ***საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;***

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2017 წლის 18 იანვრის განჩინება, საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, ***დარჩეს უცვლელად;***

განჩინების ასლები გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სსსკ-ის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;

განჩინება საბოლოოა და ***არ საჩივრდება.***

მოსამართლე

გელა ბადრიაშვილი